

საქართველოს კ ა ნ ო ნ ი

ვეტერინარიის შესახებ

ამ კანონით განსაზღვრულია ვეტერინარიის სამსახურის უფლება-მოვალეობანი, მისი ორგანიზაციული და საფინანსო-ეკონომიკური საფუძვლები. იგი საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიატარული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად აწესრიგებს ზოგად საქმიანობას ვეტერინარიის სფეროში, აწესებს სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლის ფორმებსა და მეთოდებს.

კ ა რ ი I. ზოგადი დაბულებანი

მუხლი 1. ვეტერინარიის ტერმინთა განმარტება

ვეტერინარია არის მეცნიერებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შინაური და გარეული ცხოველების, ფრინველის, თევზის, ფუტკრის, ასევე ემბრიონების, საინკუბაციო კვერცხის, განაყოფიერებული ქვეტრითის დაავადებების პროფილაქტიკასა და მკურნალობას; ვეტერინარულ-სანიატარული თვალსაზრისით კეთილზარისხოვანი მეცხოველეობის პროდუქტების, აგრეთვე ცხოველური წარმოშობის ნედლეულის /ტყავი, ქურქ-ბეწვეული, მატყლი, ჯაგარი, ძუაფაფარი, ფრთა-ბუმბული, თიფთიკი, სუბპროდუქტები, რქა, ჩლიქი, ძვალი, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები, სანთელი, დინდგელი და სხვა/ წარმოებას; იგი მოიცავს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ცხოველებისა და ადამიანის საერთო დაავადებებისაგან, საქართველოს ტერიტორიის დაცვა საზღვარგარეთიდან ცხოველების, ფრინველის, თევზის, ფუტკრის საშიში გადამდები დაავადებების აღმძვრელის შემოტანისა და გავრცელებისაგან; ვეტერინარია ახორციელებს მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქტების ექსპერტიზას, აწესებს კონტროლს მათი ვარგისიანობის, შენახვისა და რეალიზაციისადმი;

ეპიზოოტია არის ცხოველებში საშიში ინფექციური დაავადებების მასობრივი გავრცელება განსაზღვრულ ტერიტორიაზე, დროის გარკვეულ მონაკვეთში

-ზოოანთროპონოზური /ზოონოზური/ დაავადებები - ისეთი ჯგუფის სნეულებებია, რომლებიც ცხოველებიდან გადაეცემათ ადამიანებს და აავადებს მას /ცხოველებისა და ადამიანთა საერთო დაავადებები/;

ეპიზოოტორი სიტუაცია-ქვეყნის ცალკეული რეგიონების ან ვრცელი ტერიტორიის შესწავლა-შეფასება ცხოველების გადამდები დაავადებების აღმძვრელების არსებობის დასადგენად;

პიზოოტის საწინააღმდეგო ღონისძიებანი-სპეციალურ და სამეურნეო ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება გადამდები დაავადებების პროფილაქტიკის, აგრეთვე დაავადების კერების ლოკალიზაციის-ლიკვიდაციის მიზნით; -ვეტერინარულ-სანიატარული ექსპერტიზა-მეცხოველეობის, მემცენარეობისა და სხვა საკვები პროდუქტების კომპლექსური დიაგნოსტიკური გამოკვლევა, მათი ხარისხისა და ვარგისიანობის განსაზღვრის მიზნით.

ვეტერინარიის სახელმწიფო ინსპექტორული კონტროლი არის სახელმწიფო ვეტერინარული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა /ვეტერინარი ინსპექტორების/, საერთოდ ვეტერინარი სპეციალისტების საქმიანობა, რომლის მიზანია პირუტყვის მეპატრონეთა, მეცხოველეობის პროდუქტების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის, ფურაჟის ბიოლოგიური, მცენარეული, ქიმიური პრეპარატების მწარმოებელ, გადამამუშავებელ, შემნახველ და გადამზიდავ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიერ ამ კანონით, ვეტერინარიის კანონმდებლობითა და საქართველოს სხვა კანონებით განსაზღვრული ვეტერინარული მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობა;

ვეტერინარიის კანონმდებლობა შედგება ამ კანონის, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ვეტერინარიის სკითხვებზე მიღებული ნორმატიული აქტებით და საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ვეტერინარიის დეპარტამენტის ინსპექციის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებისა და დებულებებისაგან.

მუხლი 2. ვეტერინარიის სამსახური

ვეტერინარიის სამსახურია კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული სახელმწიფო, საუწყებო, კერძო იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საქმიანობა ვეტერინარიის სფეროში.

ვეტერინალურ-სანიტარული თვალსაზრისით კეთილხარისხოვანი მეცხოველეობის პროდუქტის, ნედლეულის წარმოებაზე კონტროლი მათი საიმედოების უზრუნველსაყოფად. (10.04.96.N 193 პარლამენტის უწყებანი N 008)

მუხლი 3. ვეტერინარიის საქმიანობის განმახორციელებელი სამსახური

საქართველოს ვეტერინარიის სამსახურის საქმიანობას ახორციელებენ: საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი, მის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული რესპუბლიკური ორგანიზაციები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერინარიის დეპარტამენტები, ქალაქების, რაიონების სახელმწიფო, საუწყებო და კერძო ვეტერინარიის სამსახურები.

მუხლი 4. ვეტერინარიის სამსახურების ამოცანები

ვეტერინარიის სამსახურების ძირითადი ამოცანებია:

- ცხოველების (ფრინველის, თევზის, ფუტკრის) გადამდები და არაგადამდები სნეულებების თავიდან აცილება; ხოლო დაავადებების წარმოშობის შემთხვევაში დროული დიაგნოსტიკა

- კერების ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია;

- ვეტერინალურ-სანიტარული თვალსაზრისით კეთილხარისხოვანი მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების ორგანიზაცია;

- მოსახლეობის დაცვა ცხოველებისა და ადამიანთა საერთო დაავადებებისაგან;

- საქართველოს ტერიტორიის დაცვა საზღვარგარეთიდან ცხოველების გადამდები დაავადებების აღმძვრელის შემოტანისა და გავრცელებისაგან.

მუხლი 5. ვეტერინარიის საქმიანობის სამართლებრივი

რეგულირება

ვეტერინარიის საქმიანობა რეგლამენტირებულია ან კანონით, ვეტერინარიის კანონმდებლობით, საერთაშორისო ვეტერინალურ-სანიტარული კოდექსით, სხვა კანონებითა და ვეტერინარიის საკითხებზე მიღებული კანონქვემდებარე აქტებით.

მუხლი 6. ვეტერინარიის სამსახურის ურთიერთობა

მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებთან
საქართველოში ვეტერინარიის პროფესიული საქმიანობა ხორციელდება ცენტრალურ
სახელმწიფო აღმასრულებელ, ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებთან
ურთიერთქმედებით.

კარი II. ვეტერინარიის სპეციალისტთა მომზადება, სტატუსი და დასაქმება

მუხლი 7. ვეტერინარიის სპეციალისტთა მომზადება

საქართველოში ვეტერინარიის სპეციალისტებს ამზადებენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური
სასწავლებლები (ფაკულტეტები);

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების (ფაკულტეტების)
კურსდამთავრებულებს მიღებული განათლების შესაბამისად ენიჭებათ ვეტერინარი ექიმის,
ვეტერინარულ-სანიტარული ექიმის, ვეტერინარი ფერშლის წოდება;

ვეტერინარი ექიმის, ვეტერინარულ-სანიტარული ექიმის ვეტერინარი ფერშლის მომზადება
ხდება მხოლოდ დასწრებულად.

მუხლი 8. ვეტერინარი ფერშლის უფლებები

ვეტერინარი ფერშლის ვეტერინარიის დარგში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე პროფესიული
საქმიანობის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა წარმართული იქნება ვეტერინარი ექიმის
უშუალო პასუხისმგებლობით და კონტროლით;

ვეტერინარი ფერშალი შეიძლება დაინიშნოს ვეტერინარი რიგითი ექიმის ვაკანტურ
თანამდებობაზე მხოლოდ მოვალეობის დროებით შემსრულებლად.

მუხლი 9. უცხოეთის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე

პირების საქმიანობა ვეტერინარიის სფეროში

უცხოეთის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებსაც აქვთ სათანადო
ვეტერინარი ექიმის კვალიფიკაცია, შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელონ
ვეტერინარული საქმიანობა, ადგილზე სავალდებულო ატესტაციის გავლის შემდეგ.

მუხლი 10. ვეტერინარი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება,

გადამზადება და ატესტაცია

ვეტერინარი ექიმების, ვეტერინარულ-სანიტარული ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება,
გადამზადება და ატესტაცია ხდება დაავადებათა ცალკეული სახეობის (ინფექციური, ინვაზიური,
არაგადამდები და სხვა) მიხედვით, ვეტერინარული ლაბორატორიების სპეციალისტებისა - დაავადებების
ლაბორატორიული დიაგნოსტიკის, ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზის, კარდიოლოგიის,
ტოქსიკოლოგიის განხრით, უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამის ფაკულტეტებზე, სპეციალური
პროგრამებით;

ვეტერინარი სპეციალისტების ატესტაცია ხდება საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის
გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამისი დარგის უმაღლესი სასწავლებლების სპეციალისტების
მონაწილეობით;

ვეტერინარი ფერშლების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება ხდება შესაბამის უმაღლეს
სასწავლებლებში, მათთვის შედგენილი პროგრამებით;

სახელმწიფო ვეტერინარ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება და ატესტაცია ხდება შესაბამისი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ბიუჯეტის ხარჯზე, ხოლო სამეურნეო ორგანიზაციების, სწარმოების, ფირმების, საუწყებო სამსახურების, კერძო სპეციალისტების სწავლება - სამეურნეო ან საკუთარი ხარჯებით;

ვეტერინარი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება ხდება სულ ცოტა 5 წელიწადში ერთხელ.

მუხლი 11. ვეტერინარ სპეციალისტთა სოციალური დაცვა

ვეტერინარიის მუშაკებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, შესაბამისი ორგანიზაციები, ფირმები და სწარმოები უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ბინით, ტრანსპორტითა და სხვა აუცილებელი საშუალებებით;

ვეტერინარიის სპეციალისტები ექვემდებარებიან აუცილებელ დაზღვევას და მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების, ზოონთროპონოზური დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებათა და სხვა მანიპულაციებისგანხორციელებისას დაავადების, დაინვალიდებისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, ენიშნებათ პენსია თანახმად საქართველოს კანონმდებლობისა, აგრეთვე ეძლევათ ერთდროული ფულადი დახმარება 3-დან 5-წლამდე ხელფასის ოდენობით არასაბიუჯეტო შემოსავლების ხარჯებთან;

რაიონების ცენტრებში, დაბებში, სოფლად, რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში მომუშავე ვეტერინარიის სპეციალისტები, მათ შორის პენსიონრები, სარგებლობენ უფასო საცხოვრებელი ბინით, გათბობით, განათებით, მათ ეძლევათ შეღავათიანი კრედიტები კერძო მეურნეობის მოწყობის, საცხოვრებელი ბინების მშენებლობის, ცხოველების შესყიდვისა და სხვა სახის საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის; ცხოველების განსაკუთრებით საშიში დაავადებების - ციმბირული წყლულის, ცოფის, ტუბერკულოზის, ბრუცელოზის, თურქულის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჭირის, ქოლერის, ქოთაოს, მაღაოს და სხვა კერებში მომუშავე მივლინებულ სპეციალისტებს, რომლებიც ახორციელებენ აცრებს, დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს, პათანატომიურ გაკვეთებს, იღებენ და ლაბორატორიებში აგზავნიან მასალებს, ეძლევათ დამატებითი ანაზღაურება დღიური საშუალო ხელფასის სამმაგი ოდენობით;

- საძოვრებზე მივლინებულ და მომთაბარე ვეტერინარ სპეციალისტებს სამივლინებო თანხების საკომპენსაციოდ დამატებით ეძლევათ თანამდებორივი განაკვეთის 40 პროცენტი;

- ვეტერინარ სპეციალისტებს, ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც მანეჟ პირობებში, დამატებით ეძლევათ 12-დღიანი ფასიანი შვებულება;

- განსაკუთრებით მანეჟ პირობებში მომუშავე ვეტერინარი სპეციალისტებისა და ტექნიკური მუშაკების (ბაქტერიოლოგების, ვირუსოლოგების, ანატომების, პათანატომების, ტოქსიკოლოგების, რენტგენოლოგების, დეზინფექტორების, დეზინსექტორების, დერატიზატორების, ეპიზოოტიკებთან ბრძოლის ექსპედიციებისა და რაზმების, მათთან გათანაბრებული სხვა სპეციალისტების), აგრეთვე მაღალმთიან რაიონებში მომუშავე ვეტერინარული ორგანიზაციების თანამშრომელთა ხელფასი გაიზრდება 20 % -ით; (19.04.96.N 193 პარლამენტის უწყებანი N 008)

- ვეტერინარიის სამსახურში მომუშავე ვეტერინარ ექიმებს, რომლებსაც აქვთ მინიჭებული მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, დამატებით ეძლევათ თვიური ხელფასის 50%, მეცნიერებათა კანდიდატებს - 30%, საქართველოს დამსახურებულ ვეტერინარ ექიმებს - 25%, ავტონომიური რესპუბლიკების დამსახურებულ ვეტერინარ ექიმებს - 20%.

- ვეტერინარ სპეციალისტებს ერთი ერთი ადმინისტრაციული რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე აქვთ უფლება იმუშაონ შეთავსებით (გარდა იმავე ორგანიზაციისა და კონტროლქვემდებარე ვეტერინარიის სამსახურისა).

მუხლი 12. ვეტერინარი სპეციალისტების წახალისება და დაჯილდოება

- ვეტერინარი სპეციალისტების მატერიალური და მორალური წახალისება ხდება ვეტერინარიის კანონმდებლობის და საქართველოში მოქმედი კანონების შესაბამისად.

კარი III. ვეტერინარიის სახელმწიფო, საუწყებო და კერძო სამსახურების ერთიანი ქსელი

მუხლი 13. ვეტერინარიის სახელმწიფო ქსელი

ვეტერინარიის სახელმწიფო ქსელში შედის:

საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერინარიის დეპარტამენტები (აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური, რაიონული და საქალაქო ვეტერინარიის სამსახურები), ვეტერინარიის რესპუბლიკური ლაბორატორია) ვეტერინარული კვლევის ობიექტების დიაგნოსტიკური და საექსპორტო დასკვნის საარბიტრაჟო სასამართლოში წარდგენის უფლებით), ზოოვეტერინარული მომარაგების რესპუბლიკური ბაზა, ტაბახმელის ბიოლოგიური კომბინატი, ვეტერინარიის პრეპარატების სამეცნიერო-საკონტროლო ცენტრი, ფრინველთა დაავადებების სპეციალიზებული ვეტერინარული ლაბორატორია ცენტრალური ვეტერინარულ-სანიტარული სადგური, რაიონული და საქალაქო ვეტერინარიის სადგურები, ეპიზოტიებთან ბრძოლის ექსპედიცია, რესპუბლიკური დაქვემდებარების სასაზღვრო-საკონტროლო, სასაზღვრო-სატრანსპორტო საკონტროლო ვეტერინარული უბნები, სადენზიფექციო-გამრეცხი სადგურები, ზონალური სპეციალიზებული, ვეტერინარიის სარაიონათშორისო და რაიონული ლაბორატორიები, ზოოვეტერინარული მომარაგების ბაზები და აფთიაქები ბაზრებსა და ბაზრობებზე მოქმედი ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზის ლაბორატორიები, ცხოველების და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში, საამქროებსა და სასაკლაოებში არსებული საკონტროლო ვეტერინარული სამსახურები, საუბნო ვეტერინარული სამკურნალოები, ვეტერინარული უბნები, ბრუცელოზის და ტუბერკულოზის დაავადებების წინააღმდეგ მებრძოლი რაზმები, ქალაქების ვეტერინარული სამკურნალოები, სადენზიფექციო, სადერატიზაციო რაზმები და სახელმწიფო ვეტერინარიის სხვა სამსახურები;

სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურის სტრუქტურასა და მასშტაბებს განსაზღვრავს საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტი, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - შესაბამისი ვეტერინარიის დეპარტამენტები, საქართველოს ვეტერინარიის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით.

საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერინარიის დეპარტამენტების თავმჯდომარეები, რაიონების, ქალაქების სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურის ხელმძღვანელები იმავდროულად თანამდებობრივად არიან შესაბამისად საქართველოს ვეტერინარიის სახელმწიფო ინსპექტორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერინარიის სახელმწიფო მთავარი ინსპექტორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერინარიის სახელმწიფო მთავარი ინსპექტორი, რაიონების ქალაქების

ვეტერინარიის სახელმწიფო ინსპექტორები, ხოლო მათი მოადგილეები შესაბამისად - ვეტერინარული სახელმწიფო მთავარი ინსპექტორების მოადგილეები.

საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი სახელმწიფო მინისტრთან შეთანხმებით, მის პირველ მოადგილეს - საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდინებით. (19.04.96. N193 პარლამენტის უწყებანი N 008)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტთან შეთანხმებით.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ვეტერინარიის სახელმწიფო სამსახურების უფროსებს, მათ მოადგილეებს და უფროს ბუღალტერს, რაიონული საქალაქო სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურების უფროსებს (გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური, რაიონული დასაქალაქო სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურების უფროსებისა, რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერინარიის დეპარტამენტები), მათ მოადგილეებს და უფროს ბუღალტრებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარე რაიონის, ქალაქის გამგეობის, მერიის თანხმობით.

საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარე საქართველოს თანამდებობრივად წარმომადგენლობს საერთაშორისო ეპიზოტიურ ბიუროში, მსოფლიო ვეტერინარულ ასოციაციაში, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საქართველოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერინარიის დეპარტამენტთა თავმჯდომარეები იმავდროულად ითვლებიან საქართველოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილეებად. (19.04.96.N 193 პარლამენტის უწყებანი N 008)

მუხლი 14. საუწყებო ვეტერინარიის სამსახურები

საუწყებო ვეტერინარიის სამსახურებია:

- თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, სხვა სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, ორგანიზაციების, უწყებების, დაწესებულებების, საწარმოების, ფირმების, კორპორაციების და ა.შ. ვეტერინარიის სამსახურები;

- საუწყებო ვეტერინარიის სამსახურებს თავიანთ უწყებებში უნდა ჰყავდეთ ხელმძღვანელი ვეტერინარიის ორგანო (სამმართველო, განყოფილება, ინსპექცია) ან ხელმძღვანელი ვეტერინარი სპეციალისტი;

საუწყებო ვეტერინარიის სამსახურების სტრუქტურას და შტატს განსაზღვრავენ შესაბამის სამინისტროები, კომიტეტები, დეპარტამენტები, უწყებები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკების ვეტერინარიის დეპარტამენტებთან შეთანხმებით.

მუხლი 15. კერძო ვეტერინარიის სამსახურები

კერძო ვეტერინარიის სამსახურებს განეკუთვნება:

- რაიონებში, ქალაქებში, დაბებში და სოფლად მოქმედი ვეტერინარიის კერძო კლინიკები, აფთიაქები, მაღაზიები, ვეტერინარიის ერთობლივი და ინდივიდუალური სამკურნალოები, ცხოველების კერძო კოსმეტიკური კაბინეტები და სხვა ანალოგიური კერძო სამსახურები;

- კერძო ვეტერინარიის სამსახურებში შტატების რაოდენობას განსაზღვრავენ უშუალოდ სამსახურის ხელმძღვანელები.

მუხლი 16. საქართველოს ვეტერინარიის სახელმწიფო

სამსახურების ქვემდებარეობა

საქართველოს ვეტერინარიის სახელმწიფო სამსახური, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონების, ქალაქების ვეტერინარიის სახელმწიფო სამსახურები პროფესიულ და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საკითხებში უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტს, ხოლო ტერიტორიული მმართველობის საკითხებში - შესაბამის ცენტრალურ და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს. (19.04.96.N 193 პარლამენტის უწყებანი N 008)

მუხლი 17. სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურების ფუნქციები და

მოვალეობა

სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურის ფუნქციებს და მოვალეობებს განეკუთვნება:

- ამ კანონით, ვეტერინარიის კანონმდებლობით, საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარული კოდექსით, საქართველოს კანონმდებლობით და ვეტერინარიის დარგის კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი;

- ცხოველური წარმოშობის პროდუქტების და ნედლეულის დამაზადებელ, გადამამუშავებელ და შემინაველ საწარმოებში მათ შორის სავაჭრო ობიექტების, საზოგადოებრივი კვების მაცივრებში, ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნების დაცვის კონტროლი;

- ბაზრებში და ბაზრობებზე ცხოველების, მეცხოველეობის პროდუქტების, მცენარეული და სხვა საკვები პროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზის განხორციელება;

საქართველოში დამზადებული ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული ვეტერინარული პრეპარატების წარომებასა და ხარისხზე კონტროლი, ასევე იმპორტული პრეპარატების რეგისტრაცია და ხარისხზე კონტროლი. (19.04.96.N 193 პარლამენტის უწყებანი N 008)

- ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ნედლეულის ფურაჟის და ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე სხვა საექსპორტო, საიმპორტო, სატრანზიტო ტვირთებზე ვეტერინარულ-სანიტარული კონტროლი;

- ცხოველების დაავადებების პროფილაქტიკა, მკურნალობა, ინფექციურ, ინვაზიური და არაგადამდები დაავადებების ლოკალიზაცია, ლიკვიდაცია და ამ საქმიანობის განხორციელებისადმი სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლის დაწესება;

- ცხოველების (ფრინველის, თევზის, ფუტკრის) დაავადებების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების და ნედლეულის მცენერეული საკვები პროდუქტების, ექსპერტიზა, ხარისხის განსაზღვრა და სერტიფიკაცია, ცხოველების საკვებისა და სასმელი წყლის ექსპერტიზა და ხარისხის განსაზღვრა;

- საუწყებო და კერძო ვეტერინარიის სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია და მათი მუშაობისადმი კონტროლის დაწესება;

- ვეტერინარულ - სანიტარული თვალსაზრისით კეთილხარისხოვანი მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების უზრუნველსაყოფად ვეტერინარული კონტროლის დაწესება;

- მოსახლეობის დაცვა ცხოველებისა და ადამიანის საერთო დაავადებებისაგან; - ქვეყნის ტერიტორიის დაცვა საზღვარგარეთიდან ცხოველთა გადამდები დაავადებების შემოტანისაგან;
- ცხოველების საშიში გადამდები, მასობრივი არაგადამდები დაავადებების გაჩენა-გავრცელების მიზეზების დადგენა;
- ეპიზოოტიური სიტუაციების განსაზღვრა, გადამდები დაავადებების პროფილაქტიკისა და ლიკვიდაციის, ასევე დეზინფექციების, დეზინსპექციების, დეზაკარიზაციების, დერატიზაციების და სხვა ღონისძიებების ორგანიზაცია;
- მეცხოველეობის ფერმების, კომპლექსების, მეფრინველეობის ფაბრიკების, მეთევზეობის ტბორების, ცხოველებისა და მეცხოველეობის პრდუქტების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების, ობიექტების, ცხოველების დასაწყურებელი წყალსაცავებისა და სისტემების მშენებლობისათვის ადგილის შერჩევასა და სამშენებლო პროექტების ექსპერტიზის კომისიებში მონაწილეობის მიღება;
- მეცხოველეობის ფერმების, ფაბრიკების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტების მიმღებ სახელმწიფო კომისიაში მონაწილეობა, აგრეთვე ამ ობიექტების მშენებლობის შეჩერება ან მათი ექსპლუატაციის შეწყვეტა ვეტერინარულ - სანიტარული მოთხოვნების და ნორმების დარღვევის შემთხვევაში;
- ამ კანონით, ვეტერინარული კანონმდებლობითა და საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარული კოდექსის გათვალისწინებული ნორმებისა წესების დარღვევის აღკვეთის მიზნით კანონით გათვალისწინებული სანქციების განხორციელება.

მუხლი 18. საუწყებო ვეტერინარიის სამსახურების მოვალეობანი

საუწყებო ვეტერინარიის სამსახურებს ევალებათ:

- საქალაქო, რაიონული სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, მომსახურების ზონაში განახორციელონ ეპიზოოტიური, ზოოანთროპონოზური და არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებები;
- ვეტერინარულ-სანიტარული თვალსაზრისით კეთილხაზოვანი მეცხოველეობის პრდუქტებისა და ნედლეულის წარმოების უზრუნველსაყოფად ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებათა განხორციელება;
- ცხოველების ინდექციური ან მასობრივი არაგადამდები დაავადებების გაჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ ადმინისტრაციული ტერიტორიის სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურს;
- ორგანიზაცია გაუკეთონ დეზინფექციის, დეზინსპექციის, დეზაკარიზაციის, დერატიზაციის ღონისძიებებს;
- ხელი შეუწყონ მეცხოველეობის აღწარმოების ორგანიზაციას;
- აწარმოონ ვეტერინარული საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვა და ამის თაობაზე სისტემატიურად ინფორმაცია მიაწოდონ ადმინისტრაციული ტერიტორიის სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურს.

მუხლი 19. კერძო ვეტერინარიის სამსახურების მოვალეობანი

- კერძო ვეტერინარიის სამსახურებს ევალებათ:

- საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული დებულების და ქალაქის, რაიონის, სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე

განხორციელონ ეპიზოოტიური, ზოოანთროპონოზიური და არაგადამდები და დაავადებების საწინააღმდეგო პრევენციური-სამკურნალო ღონისძიებები;

- ვეტერინარულ სანიტარული თვალსაზრისით კეთილხარისხოვანი მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების უზრუნველსაყოფად ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებათა განხორციელება;

- უზრუნველყონ არაგადამდები დაავადებების სამკურნალო-პრევენციური ღონისძიებების განხორციელება, ქირურგიული, გინეკოლოგიური დახმარების გაწევა, კოსმეტიკური ოპერაციების ჩატარება და სხვა ვეტერინარული მომსახურება; - ცხოველების ინფექციური ან მასობრივი არაგადამდები დაავადებების გაჩენის შემთხვევები დაუყოვნებლივ აცნობონ ადმინისტრაციული ტერიტორიის სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურს;

- აწარმოონ ვეტერინარული საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვა და ამის თაობაზე სისტემატიური ინფორმაცია მიაწოდონ ადმინისტრაციული ტერიტორიის სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურს.

მუხლი 20. საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფლებები

საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფლებებს განეკუთვნება:

- საქართველოში ვეტერინარიის სამსახურის ორგანიზაცია; - ეპიზოოტიური, ზოოანთროპონოზიური და არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროგრამების და ღონისძიებების შემუშავება;

- საქართველოს მთავრობაში განსახილველად ვეტერინარიის სფეროში პერსპექტიულ, პრბლემატურ და საგანგებო საკითხებზე წინადადებების შეტანა;

- რესპუბლიკური სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერინარიის დეპარტამენტების, რაიონების, ქალაქების ვეტერინარიის სამსახურების დებულებების, ინსტრუქციების, ვეტერინარიის სახელმწიფო სამსახურებში ნაწილობრივ ფასიანი მომსახურების პრეისკურანტის ეპიზოოტიის ღონისძიებების გეგმების განხილვა-დამტკიცება;

- ცხოველების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ნედლეულის, ფურაჟის და ვეტერინარული კონტროლქვემდებარე სხვა ტვირთების ექსპორტ-იმპორტზე და ტრანზიტზე ვეტერინარული ნებართვის გაცემა;

- სამუშაო ბიოლოგიური, სადიაგნოსტიკო, ქიმიურ-ფარმაცევტიული, სხვა ვეტერინარული პრეპარატების წარმოების, შენახვის, რეალიზაციის, ასევე იმპორტული ბიოლოგიური პრეპარატების შემოტანა-გატანის და გამოყენების ნებართვის გაცემა;

- სამუშაო ბიოლოგიური, ქიმიური, ფარმაცოლოგიური, სხვა ვეტერინარული საშუალებების, საკვებდანამატების გამოყენების კონტროლის განხორციელება; ჯანმრთელ ცხოველებზე და მეცხოველეობის პროდუქტებისა და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის ხარისხზე აღნიშნული პრეპარატების მოქმედების განსაზღვრა და პრეპარატების გამოყენებაზე ნორმატიული აქტების და ტექნიკური დოკუმენტების გაფორმება -დამტკიცება;

- ცხოველების, მეცხოველეობის და მცენარეული პროდუქტების, ცხოველური ხარმოშობის პროდუქტების და ნედლეულის გადამუშავების, შენახვის, გადაზიდვის და რეალიზაციის და ვეტერინარიის საკითხებზე ნორმატიული აქტების შემუშავება;

კერძო ვეტერინარიის კლინიკების, სამკურნალოების, აფთიაქების, კოსმეტიკური კაბინეტების და სხვა ანალოგიური კერძო სამსახურების დებულებების შემუშავება - დამტკიცება, მათი რეგისტრაციაში გატარება.

საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის მიერ ვეტერინარიის საკითხებზე კანონით დადგენილი წესით გამოცემული ბრძანებები, განკარგულებები, ინსტრუქციები, მეთოდური მითითებანი, დასკვნები სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის, ორგანიზაცია - დაწესებულებისა და მოქალაქისათვის. (19.04.96. N 193 პარლამენტის უწყებანი N 008)

**კ ა რ ი IV. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების
რაიონების, ქალაქების გამგეობების, მერიების
უფლება-მოვალეობ**

მუხლი 21. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენცია

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება უფლებებს განეკუთვნება: -საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში დაავადებების საწინააღმდეგო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღება;

-საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის საქმიანობის კონტროლის განხორციელება;

-ეპიზოოტიური, ზოოანთროპონოზური, ცხოველების მასობრივი არაგადამდები და დაავადების პროფილაქტიკისა და სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად ყოველწლიურად საჭირო თანხების, სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურისათვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სამაცივრო დანადგარების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სპეციალური, სადენინფექციო, სასწრაფო ვეტერინარული დახმარების ავტოტრანსპორტისა და სხვა საშუალებების, აგრეთვე მათ შესასყიდად ფულადი სახსრების გამოყოფა;

-ცხოველების საშიშში გადამდები დაავადებების კერების ლოკალიზაცია, ლიკვიდაციის მიზნით საჭიროების შემთხვევაში დამატებითი თანხების და ვეტერინარული სხვა საშუალებების გამოყოფა;

-სამოქალაქო თავდაცვის მიზნით ვეტერინარიისათვის საჭირო ბიოლოგიური, სადიგნოსტიკო, ქიმიურ-ფარმაცევტული და სამკურნალო სხვა საშუალებების სარეზერვო ფონდის შესაქმნელად საჭირო თანხების გამოყოფა და აღნიშნული სარეზერვო ფონდის პერიოდული განახლებისადმი კონტროლის დაწესება;

-საქართველოს ტერიტორიაზე საზღვარგარეთიდან ცხოველების საშიში გადამდები დაავადების შემოტანა-გავრცელების აღკვეთის ღონისძიებათა გატარებაზე კონტროლის დაწესება;

-საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ცალკეულ ქვეყნებთან ვეტერინარიის საკითხებში თანამშრომლობის ურთიერთკავშირის დამყარების მიზნით საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტისათვის საჭირო ფინანსური და მატერიალური დახმარების გაწევა.

მუხლი 22. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების

მინისტრთა საბჭოების კომპეტენცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების კომპეტენციას განეკუთვნება:

-ამ კანონის და ვეტერინარიის კანონმდებლობის შესაბამისად ავტონომიურ რესპუბლიკაში ვეტერინარული საქმიანობის ორგანიზაცია;

-ვეტერინარიის სფეროში ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება და სათანადო დადგენილებების, განკარგულებების მიღება, მათი გაუქმება;

-ცხოველების საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში დაავადებისაგან დაცვის მიზნით ავტონომიურ რესპუბლიკაში ეპიზოოტიური ღონისძიებების განხორციელებისადმი კონტროლის დაწესება;

-ცხოველებისა და ადამიანთა საერთო საშიში დაავადებების პროფილაქტიკისა და ინფექციის კერების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით სახელმწიფო ვეტერინარიისა და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებთან ერთად ღონისძიებების შემუშავება;

-აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოები შესაბამის ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე ვეტერინარიის საკითხებს წყვეტენ ავტონომიური რესპუბლიკების ვეტერინარიის დეპარტამენტების წარდგინებით, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების კომპეტენციას.

მუხლი 23. რაიონებისა და ქალაქების გამგეობების, მერიების უფლება-მოვალეობანი

რაიონებისა და ქალაქების გამგეობების, მერიების უფლება-მოვალეობებს განეკუთვნება:

-შესაბამისად ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე მაწანწალა და უპატრონო ცხოველების დაჭერა-მოსპობაზე ცხოველების საშიში დაავადებების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით რაიონული, საქალაქო სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურების წარდგინების საფუძველზე კარანტინის, სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებული პირობების, რეჟიმის დაწესება და მოხსნა;

-მეცხოველეობის ფერმების, საძოვრების, ცხოველების, მეცხოველეობის პროდუქტების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის წარმოების, გადამუშავების და შესანახ ობიექტებში ვეტერინარულ-სანიტარული კონტროლის განხორციელების სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურების მეშვეობით;

-ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ცხოველების რეგისტრაცია-პასპორტიზაციისადმი კონტროლის დაწესება;

-ეპიზოოტიური, ზოოანთროპოზური და სხვა საშიში დაავადებების პროფილაქტიკის ღონისძიებების ორგანიზაცია;

-ვეტერინარიაში გამოსაყენებელი სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების მწარმოებელი საწარმოების შექმნისა და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა;

-სახელმწიფო და საუწყებო ვეტერინარიის სამსახურის ორგანიზაციებისა და სპეციალისტებისათვის ავტოტრანსპორტის, მარაგნაწილების საწვავ-საპოხი საშუალებების გამოყოფა;

-ცხოველებისა და ადამიანების საერთო საშიში გადამდები და მასობრივი არაგადამდები დაავადებების პროფილაქტიკის, ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის საკითხებზე მიღებული განკარგულებების, დადგენილებების განხორციელებისადმი კონტროლის დაწესება;

-ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე მკვდარი ცხოველების, ლემის, უვარგისი ხორცის, ხორცპრდუქტების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გასაუვნებელი საუტილიზაცია საამქროების, სამარხი ორმოების მოწყობა და მათი ფუნქციონირებისადმი კონტროლის განხორციელება;

-აუცილებლობის შემთხვევაში ეპიზოოტიებთან ბრძოლის გადაუდებელი ღონისძიებების განსახორციელებლად სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურისათვის დამატებითი თანხების გამოყოფა ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 24. ვეტერინარიის ბიოლოგიური და ქიმიურ ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება და მათი ხარისხისადმი კონტროლი

1. საქართველოს ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნები და საწარმოები აწარმოებენ მხოლოდ ვეტერინარულ პრეპარატებს სპეციალური ნორმების შესაბამისად, რომლებიც შედგენილია საერთაშორისო ტექნოლოგიური პროცესებისა და სტანდარტების დაცვით.

2. საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული ვეტერინარული პრეპარატების ხარისხისადმი უშუალო კონტროლს აწესებს ვეტერინარული პრეპარატების სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრი. (19.04.96.N 193 პარლამენტის უწყებანი N 008)

ვეტერინარიის ბიოლოგიური და ქიმიურ - ფარმაცევტული პრეპარატების შენახვის, ტრანსპორტირების, გამოყენების და ამ პრეპარატების გაუფრთხილებლობისადმი კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურების თანამდებობის პირნი და სპეციალისტები.

იკრძალება ისეთი ვაქცინების, სადიაგნოსტიკო საშუალებების, ქიმიურ-ფარმაცევტული და სხვა პრეპარატების, საკვებდანამატების, მიკროელემენტების, ბიოლოგიური და ფარმაცევტული პრეპარატების ანარჩენებისა და რეგენტების გამოყენება, რომლებიც არ არის რეგისტრირებული ბიომრეწველობაში, ფარმაკოეაში, აგრეთვე პრეპარატებისა, რომლებიც დამზადებულია ნორმატიული აქტების დარღვევით.

მუხლი 25. საქართველოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონებისა და ქალაქების ვეტერინარიის სახელმწიფო მთავარ ინსპექტორებისა და მათი მოადგილეების უფლებები

საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონების, ქალაქების ვეტერინარიის სახელმწიფო მთავარი ინსპექტორების და მათი მოადგილეების უფლებებს განეკუთვნება:

-ამ კანონით, ვეტერინარიის კანონმდებლობით, საერთაშორისო ვეტერინალურ-სანიტარული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების და წესების დაცვის მიზნით, ვეტერინალურ კონტროლ ქვემდებარე ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, საწარმოებში, ფირმებში, კორპორაციებსა და ყველა სხვა ობიექტებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, აესევე კერძო და ინდივიდუალურ ორგანიზაციასაწარმოებში შეუფერხებლად შესვლა და შემოწმება;

-ეპიზოოტიის საწინააღმდეგო და სხვა ვეტერინალურ - სანიტარული ღონისძიებების განსახორციელებლად, ვეტერინალური წესებისა და ნორმების დარღვევათა გამოსასწორებლად მოთხოვათა წარდგენა;

-ცხოველების საშიში გადამდები დაავადებების გაჩენე-წარვრცელების მიზეზების, აგრეთვე ადამიანისთვის საკვებად უვარგისი, ეკოლოგიური და ვეტერინარულ-სანიტარული თვალსაზრისით არაკეთილსაიმედო მეცხოველეობის პროდუქტების წარმროება- გამოყენების შემთხვევების გამოვლენა;

-წინადადებების შეტანა საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებში, რაიონების, ქალაქების გამგეობებში, მერიებში;

-ეპიზოოტიის საწინააღმდეგო და სხვა აუცილებელი საგანგებო კომისიების შექმნა;

-ცალკეულ ან მთელ ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე კარანტინტს, სხვა შემზღუდავი ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანია ცხოველების საშიში, გადამდები და მასობრივი არაგადამდები დაავადებების თავიდან აცილება, მათი კერების ლოკალიზაცია-ლიკვიდაცია;

-გადაწყვეტილების მიღება ორგანიზაციების, უწყებების, დაწესებულებების, ფირმების, კერძო და ინდივიდუალური საწარმოების მუშაობის შეჩერების საფუძველზე ამ კანოგით, ვეტერინარიის

კანონმდებლობით განსაზღვრული წესების და ნორმატივების დარღვევის ფაქტების, ან ვეტერინარიის სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ გამოტანილი განკარგულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

-განსაკუთრებით საშიში დასავადებების კერების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით, ეპიზოოტიური სიტუაციის შესაბამისად ცხოველების დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა და ვაქცინაციის, აგრეთვე ცხოველების ან მეცხოველეობის პრდუქტების ჩამორთმევა-განადგურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

-მეცხოველეობის პროდუქტების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის წარმოების,გადაზიდვის და რეალიზაციის შეჩერება ან აკრძალვა საჭირო ღონისძიებათა განხორციელებამდე, ვეტერინალურ-სანიტარული წესების დარღვევის ფაქტების აღმოფხვრამდე; -ამ კანონით და ვეტერინარიის კანონმდებლობით განსაზღვრული სანქციების გამოყენება უწყებების, ორგანიზაციების, საწარმოების, ფირმების,გლეხური, კერძო, ინდივიდუალური და სხვა სახის საწარმოების ძელმძღვანელების, მ ოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ;

-საქართველოს ვეტერინარიის სახელმწიფო მთავარი ინსპექტორი მონაწილეობს ვეტერინარიის საკითხებზე საქართველოს სამთავრობო კომისიის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების მომზადებასა და ხელმოწერაში.

მუხლი 26. საქართველოს რესპუბლიკის ვეტერინარიის სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებელ პირთა გარანტიები

საქართველოს ვეტერინარიის სახელმწიფო მთავარ ინსპექტორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერინარიის სახელმწიფო მთავარი ინსპექტორები, რაიონების, ქალაქების ვეტერინარიის სახელმწიფო მთავარ ინსპექტორები და მისი მოალგილეები, ასევე საქართველოს სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურების სხვა ხელმძღვანელები და სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ ვეტერინალურ სახელმწიფო კონტროლს, არიან შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები და მათ იცავს სახელმწიფო;

საქართველოს ვეტერინარიის სახელმწიფო მმართველობის წარმომადგენლები თავიანთ საქმიანობაში დამოუკიდებელი არიან და ხელმძღვანელობენ ამ კანონით, ვეტერინარიის კანონმდებლობით, საქართველოს კანონებით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

მუხლი 27. საუწყებო ვეტერინარულ-სანიტარული კონტროლი

საუწყებო ვეტერინარულ-სანიტარულ კონტროლს ახორციელებენ:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს ობიექტებში, რომლებიც გალაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, ვეტერინალურ-სანიტარული კონტროლის განმხორციელებელი შესაბამისი საუწყებო სამსახურები, რომლებიც მოქმედებენ ამ კანონისა და ვეტერინარიის კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული, საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტთან შეთანხმებული და შესაბამისი სამინისტროების მიერ დამტკიცებული დებულებით.

კ ა რ ი V. სახელმწიფო ვეტერინალურ-ინსპექტორული და ვეტერინალურ-სანიტარული კონტროლი

მუხლი 28. ცხოველების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის, გადამამუშავებელი და მათი შესაბამისი ობიექტებისა და მშენებლობაზე სახელმწიფო ვეტერინარულ-ინსპექტორული და ვეტერინარულ-სანიტარული კონტროლის განხორციელება:

-მეცხოველეობის ობიექტების, მეფრინველობის ფაბრიკების, ხორცკომბინატების, სასაკლაოების, საძებვე საამქროების, მეცხოველეობის პროდუქტების, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების გადამამუშავებელი, შესანახი, ყველა სახის ფერმერული მეურნეობის, გლეხური და კერძო მეურნეობების დაგეგმარების და მშენებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ცხოველების შენახვის, პროდუქტების, ნედლეულის წარმოება-გადამამუშავების სანიტარული პირობები, რათა არ მოხდეს გარემოს გაჭუჭყიანება მეცხოველეობის, ცხოველური წარმოშობის და ადამიანის საერთო საშიში გადამდები დაავადებების აღმძვრელებით;

-ცხოველების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გადამამუშავებელი ობიექტებისათვის მიწის ფართობის გამოყოფა, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზების აპროექტო დოკუმენტაციის დამტკიცება და ობიექტების საექსპლოატაციო გადაცემა დაიშვება ვეტერინარიის სახელმწიფო საკონტროლებელი ორგანოების დასკვნის საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო დოკუმენტაცია შეესაბამება მოქმედ ვეტერინარულ-სანიტარულ წესებს და ნორმებს;

-ვეტერინარიის სახელმწიფო მკონტროლებელ ორგანოებს უფლება აქვთ ვეტერინარულ-სანიტარული წესების და ნორმების დარღვევის შემთხვევაში შეაჩერონ ობიექტების მშენებლობა და ამის შესახებ აცნობონ ბანკს მშენებლობისათვის კრედიტის გაცემის შეჩერების მიზნით.

მუხლი 29. ცხოველების შენახვის, კვების, დაწყურების, მათი გადაყვანა-გადარევის დროს ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნის დაცვა

-ცხოველების მუდმივი ან დროებითი სადგომები, თავისი მოწყობილობით უნდა უზრუნველყოფდეს პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და ჯანმრთელობის კეთილსაიმედო პირობებს;

-პირუტყვის მფლობელი საწარმოები, უწყებები, ორგანიზაციები, ფირმები, გლეხური და კერძო წარმოების ობიექტები, მოქალაქეები ვალდებული არიან უზრუნველყონ ცხოველები ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნების და ნორმების შესაბამისი კეთილსაიმედო საკავებით და დაწყურებით;

-ცხოველების საკვების და საკვებდანამატების ვარგისიანობის შესახებ ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნები და ნორმები მტკიცდება საერთაშორისო ვეტერინარული წესის მოთხოვნების შესაბამისად;

-საკვები, საკვებდანამატები წარმოებაში გამოსაყენებლად დაიშვება მხოლოდ სპეციალური ორგანოების მიერ გაცემული სერტიფიკატის საფუძველზე;

-ცხოველების გადაყვანა, გადარეკვა ხორციელდება ვეტერინარული მოთხოვნების დაცვით, სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურებთან შეთანხმებული მარშრუტით.

მუხლი 30. საქართველოს ტერიტორიის დაცვა უცხო ქვეყნებიდან ცხოველების საშიში გადამდები დაავადებების შემოტანისაგან

-დაიშვება საქართველოში უცხო ქვეყნებიდან მხოლოდ ჯანმრთელი ცხოველების შემოყვანა და ასეთი ცხოველებისაგან მიღებული პროდუქტების შემოტანა;

აუცილებელია ცხოველების და მეცხოველეობის პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყანა იყოს პირუტყვის საშიში გადამდები დაავადებების მხრივ კეთილსაიმედო;

-საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, საწარმოები, უწყებები, ფირმები, კომერციული სტრუქტურები, მოქალაქეები საზღვარგარეთის ქვეყნებში შეისყიდნენ და შემოიყვანენ საქართველოში ცხოველებს, შემოიტანენ მეცხოველეობის პროდუქტებს, ნედლეულს, ფურაჟს, ფურაჟს და ვეტკონროლქვემდებარე სხვა ტვირთებს, ან გაიტანენ მხოლოდ საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ნებართვით.

-საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნებიდან ცხოველების და ადამიანების საერთო საშიში გადამდები დაავადებების შემოტანის აღკვეთის მიზნით საქართველოს სასაზღვრო გადასასვლელების (საერთაშორისო მომოსვლის რკინიგზის სადგურებში, ავტოსადგურებში, საზღვაო პორტებში, აეროპორტებში, ავტოტრასებზე) უშუალოდ საბაჟო კონტროლის ზონაში ტრანსპორტის ნებიმიერი სახეობით, ყველა სახის გზავნილებით (სარკინიგზო, საფოსტო, მათ შორის მგზავრთა ხელბარგით), ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე ექსპორტ-იმპორტის და ტრანზიტული ტვირთების შემოწმება შესაბამისი ღონისძიებების მიღება) ვეტსერტიფიკაციებისა და ვეტმოწმობების გაფორმება ტვირთგადაზიდვების განხორციელების შემდგომი უფლებით, ხოლო ტვირთების კეთილსაიმედობასა და ვარგისიანობაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, ან მათი ტრანსპორტირების ვეტსანიტარული ნორმების დარღვევისას ტვირთების დაკავება, გაუვნებლება ან ამოღება-მოსპობა (ხორციელდება სასაზღვრო-სატრანსპორტო ვეტერინარული კონტროლის სამსახურის მიერ;

-აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე განლაგებული სასაზღვრო-საკონტროლო და სასაზღვრო-სატრანსპორტო ვეტერინარიის უბნები ეწევიან ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების ვეტერინარიის დეპარტამენტებთან;

იმ სასაზღვრო რაიონებში, რომლებიც არ შედიან ავტონომიურ ფორმირებებში, - შესაბამისი სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურებთან;

-საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე ცხოველების გადაყვანა, მეცხოველეობის პროდუქტების, ნედლეულის, ფურაჟის და ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე სხვა ტვირთების გადაზიდვა დაიშვება მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც მოწყობილია სახელმწიფო სასაზღვრო-სატრანსპორტო საკონტროლო ვეტერინარული უბნები;

- აღნიშნული ვეტერინარული უბნების საზედამხედველო ობიექტებია სასაზღვრო ზონის ფარგლებში განლაგებული საზოგადოებრივი კვების, სავაჭრო ობიექტები, სასაწყობო მეურნეობები, მაცივრები, დამამზადებელი და გადამამუშავებელი საწარმოები და ორგანიზაციები მიუხედავად საკუთრების ფორმისა.

მუხლი 31. მეცხოველეობის პროდუქტების და ნედლეულის დამზადება,

შენახვა, გადაზიდვა და რეალიზაცია

-მეცხოველეობის პროდუქტები და ნედლეული უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების ნორმებს და მათი დამზადება უნდა ხდებოდეს ცხოველების საშიში გადამდები დაავადებების მხრივ კეთილსაიმედო ტერიტორიაზე;

-საწარმოები, ორგანიზაციები, უწყებები, მეურნეობები, ფირმები, კოოპერაციული, გლეხური და კერძო საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ მეცხოველეობის პროდუქტების და ნედლეულის დამზადებას, გადამამუშავებას, შენახვას, გადაზიდვას და რეალიზაციას, ვალდებული არიან დაიცვან ვეტერინარულ-სანიტარული და ეკოლოგიური მოთხოვნები.

მუხლი 32. ცხოველების მეპატრონეების, მეცხოველეობის

პროდუქტების მწარმოებელი, ცხოველური წარმოშობის
ნედლეულის გადამამუშავებელი ორგანიზაცია-საწარმოების
ხელმძღვანელთა მოვალეობანი

-ცხოველების მეპატრონეები, მეცხოველებს პროდუქტების მწარმოებელი, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების, უწყებების, ორგანიზაციების, ფირმების, კოოპერატივების, სხვა სახის სამეწარმეო ობიექტების, კერძო გლეხურ მეურნეობების ხელმძღვანელები და მოქალაქეები ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან ცხოველების მოვლა-პატრონობის პირობები, არ დაუშვან ვეტერინალურ-სანიტარული და ეკოლოგიური თვალსაზრისით უხარისხო მეცხოველეობის პროდუქტების და წარმოშობის ნედლეულის წარმოება;

-განახორციელონ სამეურნეო და სპეციალური ვეტერინალური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ეპიზოტიურ კეთილსამიქედობას;

-სათანადო ვეტერინალურ-სანიტარულ წესრიგში იქონიონ ცხოველების სადგომები, საკვების გადამამუშავებელი და შესანახი საწარმოები;

-არ დაუშვან გარემოს გაჭუჭყიანება მეცხოველეობის პროდუქტების და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის ნარჩენებით;

-დაიცვან ცხოველების სადგომების, მეცხოველეობის პროდუქტების შესანახი და სარეალიზაციო ობიექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ზოოჰიგიენური და ვეტერინალურ-სანიტარული მოთხოვნები და ნორმები;

-დაუყოვნებლივ შეასრულონ ვეტერინარიის სპეციალისტების მითითება ცხოველების დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისას;

-გამოუყონ ვეტერინარიის სპეციალისტებს ღონისძიებების გატარების დროს დამხმარე პერსონალი, შექმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები; -ცხოველების შეძენის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ მომსახურების ზონის სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურს და ახლად შეძენილი ან საჯიმედ გასაყიდი ცხოველები იყოლიონ იზოლირებულად 30 დღე-ღამის განმავლობაში აუცილებელი გამოკვლევებისა და ვაქცინაციის ჩატარების მიზნით;

-არ დაუშვან ვეტერინარიის ექიმების ნებადაურთველად ცხოველების დაკვლა სახორცედ, იძულებით დაკლული ცხოველების ხორცის, ხორცის პროდუქტების, ასევე ვეტერინარულ კონტროლს გარეშე დაკლული პირუტყვის ხორცის რეალიზაცია და საკვებად გამოყენება;

-ცხოველებით, მეცხოველეობის პროდუქტებით, ცხოველური წარმოშობის ნედლეულით ივაჭრონ მხოლოდ ბაზრებში, ბაზრობებზე და სპეციალურ სავაჭრო ობიექტებში ვეტერინარული შემოწმებისა და ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ;

-დააყენონ აღრიცხვაზე ყველა სახის ცხოველები ყოველი წლის 1 ნოემბრამდე მომსახურების ზონის ვეტერინარიის სამსახურში.

მუხლი 33. ცხოველების, მეცხოველეობის პროდუქტების,
ცხოველური წარმოშობის ნედლეულის და ფურაჟის
ჩამორთმევა ცხოველების განსაკუთრებით
საშიში გადამდები დაავადებების კერების
ლიკვიდაციის დროს

- ცხოველების საშიში გადამდები დაავადებების კერების ლიკვიდაციის დროს საქართველოს ვეტერინარიის სახელმწიფო მთავარი ინსპექტორის და მისი მოადგილეების, ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების და რაიონების ვეტერინარიის სახელმწიფო მთავარი ინსპექტორების და მათი მოადგილეების გადაწყვეტილებით შეიძლება ცხოველების, მეცხოველეობის პროდუქტების, ცხოველური

წარმოშობის ნედლეულის და ფურაჟის ჩამორთმევა, ადგენს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება ვეტერინარიის დეპარტამენტის წარდგინებით;

- საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ფირმებს, კოოპერატივებს, გლეხურ მეურნეობებს, მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ მეცხოველეობის განსაკუთრებით საშიში დაავადებების კერების ლიკვიდაციის დროს ჩამორთმეული ცხოველებით, მეცხოველეობის პროდუქტებით, ცხოველური წარმოშობის ნედლეულით და ფურაჟით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სადაზღვევო კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

კარი VI. მოსახლეობის დაცვა ცხოველთა და ადამიანთა საერთო საშიში გადამდები დაავადებებისაგან

მუხლი 34. მოსახლეობის დაცვა ცხოველთა და ადამიანების საერთო საშიში გადამდები დაავადებებისაგან, ვეტერინარულ-სანიტარული და ეკოლოგიური თვალსაზრისით მეცხოველეობის, მემცენარეობისა და სხვა საკვები პროდუქტების კეთილსაიმედობის უზრუნველყოფა

- საქართველოს სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახური ახორციელებს დასაკლავი ან გასაყიდი ცხოველების ვეტერინარულ შემოწმებას, მეცხოველეობის, მემცენარეობის, სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სხვა პროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარულ ექსპერტიზას, აუცილებელ დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს, რომელთა მიზანია მოსახლეობის დაცვა ადამიანების და ცხოველთა საერთო საშიში გადამდები დაავადებებისაგან, მეცხოველეობის და კვების პროდუქტებით მოწამვლა-მოშხამვისაგან;

- საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ბაზრებში, ბაზრობებზე, სპეციალურ სავაჭრო ობიექტებში და ადგილებში, მიუხედავად მათი ადმინისტრაციული დაქვემდებარებისა, სადაც ორგანიზებულია ცხოველებით, მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქტებით, ცხოველური წარმოშობის ნედლეულით, სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს სხვა პროდუქტებით ვაჭრობა, აუცილებელია სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურის ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზის ლაბორატორიის ფუნქციონირება. დაუმჯობესებელია ბაზრებმა, ბაზრობებმა, სხვა სავაჭრო ობიექტებმა შექმნან საუწყებო ან კერძო ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზის ლაბორატორიები;

- ბაზრების, ბაზრობების, სპეციალური სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელები (მეპატრონეები) ვალდებული არიან ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზის ლაბორატორიები უზრუნველყონ სათანადო კეთილმოწყობილი შენობებით, ინვენტარ-მოწყობილობით, შეუქმნან მათ ნორმალური მიუშაობისათვის საჭირო აუცილებელი პირობები;

- ვეტერინარულ შემოწმებას, ვეტერინარულ-სანიტარულ ექსპერტიზას ექვემდებარება ცხოველები, ხორცი, დაკლული ცხოველებისაგან მიღებული ყველა სახის საკვები პროდუქტი, ქარხნული წესით მიღებული ძხვეული და კონსერვები, რძე და რძის პროდუქტები, შინაური ფრინველის ხორცი და ხორცის პროდუქტები, ნანადირევი ცხოველების და ფრინველის ხორცი, კვერცხი, საკვები ცხიმები, თევზი და თევზის პროდუქტები, თაფლი და მეფუტკრეობაში წარმოებული პროდუქტები და ნედლეული, მემცენარეობის პროდუქტები, მათ შორის:

- ყველა სახის კურკოვანი, თესლოვანი და კენკროვანი ნაყოფი, ციტრუსები, ყველა სახის ბალჩიული, ბოსტნეული და მათგან დამზადებული პროდუქტები, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი

სასმელები, საკვებად დამუშავებული გარეული მცენარეების ნაყოფი, სოკო, სამკურნალო მცენარეები, სხვა საკვები პროდუქტები;

- ტყავნედლეულის, ქურქ-საბეწვე და ცხოველური წარმოშობის სხვა ნედლეულის რეალიზაცია დაიშვება სათანადო ვეტერინალურ-სანიტარული წესით დამუშავება-კონსერვაციისა და მათზე ლაბორატორიული დასკვნის საფუძველზე;

- ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზის ლაბორატორიის სპეციალისტებს უფლება აქვს არ დაუშვან ადამიანისათვის საკვებად უვარგისი პროდუქციის რეალიზაცია; ასეთი პროდუქცია მეპატრონეს ჩამოერთმევა და ნადგურდება სათანადო დოკუმენტის გაფორმების შემდგომ;

- იურიდიული პირები, მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირნი, რომლებიც ბაზრებში, ბაზრობებზე, სავაჭრო ობიექტებში ან ქვეყნის ნებისმიერ სხვა ადგილებში დაუშვებენ სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლის ან ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზის ლაბორატორიის მიერ გაცემული ვეტერინალური სერთიფიკატის, ექსპერტიზის, შეუმოწმებელი და სათანადო დამლის გარეშე, ხორციით, ხორცპროდუქტებით, თევზით, თევზპროდუქტებით, აგრეთვე მომწამლაგ-მომშხამავი სხვა საკვები პროდუქტებით ვაჭრობას, პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით; - საქართველოს სახელმწიფო ვეტერინარიის ხელმძღვანელი ორგანოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კონტროლის სამსახურები ცხოველთა და ადამიანთა საერთო საშიში დაავადებისაგან და კვების პროდუქტებით მოწამულა-მომშხამვისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით მუდმივად ახორციელებენ ურთიერთშეთანხმებულ ერთობლივ ღონისძიებებს.

კ ა რ ი VII. სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურის დაფინანსება და მატერი ალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

მუხლი 35. სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციების და
დაწესებულებების დაფინანსება და
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

ქვეყანაში ვეტერინარული მომსახურება ძირითადად ფასიანია, გარდა ეპიზოოტიების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო, საკარანტინო, სანიტარული, სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადეზაკარანაციო, სადენინვაზიო, პირობდაზმილოზების საწინააღმდეგო, აგრეთვე საგანგებო და გადაუდებელი სხვა ღონისძიებებისა. აღნიშნულ ღონისძიებათა ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის წარდგინებით.

სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციების და დაწესებულებების დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება:

- სახელმწიფოს მიერ ცენტრალური და ტერიტორიული ბიუჯეტებიდან ცენტრალიზებულად, ასევე არასაბიუჯეტო საშუალებებით;

- სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციების და დაწესებულებების არასაბიუჯეტო დაფინანსების წყაროებია:

- ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებელი სამუშაოების და გაწეული ფასისნი მომსახურების შედეგად ორგანიზაციებიდან, დაწესებულებებიდან, საწარმოებიდან, კომერციული ფირმებიდან, მოქალაქეებიდან და ა.შ. შემოსული თანხები;

- ადმინისტრაციული ჯარიმების სახით გადახდილი თანხები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების, კერძო პირთა და მოქალაქეთა მიერ გაღებული დახმარებები;
- სხვა წყაროებით, რომლებიც არ იკრძალება კანონით.

მუხლი 36. ეპიზოტის საწინააღმდეგო ღონისძიებების დაფინანსება

ცხოველების გადამდები დაავადებების პრეფილაქტიკური და სალიკვიდაციო ღონისძიებები, საკვებპროდუქტების და ნედლეულის ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური და რადიოლოგიური შემოწმება, სხვა ვეტერინარულ-სანიტარული, ეპიზოტოტიური და ზოოანთროპონოზური (საქართველოს არმასრულებელი ხელისუფლების მიერ დამტკიცებული დაავადებების ნუსხის შესაბამისად) ღონისძიებები, ასევე ცხოველებისათვის სიკვდილის საშიშროების დროს გაწეული გადაუდებელი დახმარება ფინანსდება შესაბამისი საბიუჯეტო სახსრებიდან

მუხლი 37. ვეტერინარიის სხვა ღონისძიებების დაფინანსება

ცხოველების გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პრეფილაქტიკური და სალიკვიდაციო ღონისძიებები (გარდა ამ კანონის 36-ე მუხლში აღნიშნულისა" ავადმყოფი ცხოველების მკურნალობა, ლაბორატორიული გამოკვლევები, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში (საბაჟოებში) მომსახურება, ბაზრებში, ბაზრობებზე, სხვა საგაჭრო ობიექტებში ცხოველების, მეცხოველეობის პროდუქტების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის, მცენარეული ყველა სხვა პროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზა და სხვა ღონისძიებები ხორციელდება მეპატრონის ხარჯზე ფასიანი მომსახურების ტარიფების შესაბამისად.

კარი VIII. პასუხისმგებლობა ვეტერინარიის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 38. პასუხისმგებლობა ვეტერინარიის კანონმდებლობის დარღვევისათვის

- ამ კანონის, ვეტერინარიის კანონმდებლობის დამრღვევნი პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ამსთან ისინი არ თავისუფლდებიან მათ მიერ მიღებული ზარალის გადახდისაგან;
- თანამდებობის პირების, მოქალაქეების და მოქალაქეობის არ მქონე პირთა მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები მიიღება შემდეგი სახის დარღვევისათვის;
 - აუცილებელი პროფილაქტიკური (გამოკვლევები, ცხოველების იმუნიზაცია) ღონისძიებების განხორციელებაზე უარის თქმა ან ღონისძიებების განხორციელების ვადების დაუცველობა;
 - საკარანტინო წესების დარღვევა;
 - ცხოველების საშიში გადამდები დაავადებების კერების სალიკვიდაციო ღონისძიებების არადროული ან არასრული განხორციელება;
 - ვეტერინარული თვალსაზრისით კეთილსარისხოვანი მეცხოველეობის პროდუქტებით და სხვა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის სფეროში მოქმედი ვეტერინარულ-სანიტარული წესების და ნორმების დაუცველობა;

- ცხოველებისათვის არაკეთილსარისხოვანი საკვების წარმოება-გამოყენება, რომელიც ვახდა ან შესაძლებელია გამხდარიყო ცხოველების გადამდები მასობრივი არაგადამდები დაავადებების გამოჩენისა და გავრცელების მიზეზი;

- საქართველოს ტერიტორიაზე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ცხოველები საშიში გადამდები დაავადებების შემოტანის აღკვეთის მიზნით აუცილებელი ვეტერინარულ-სანიტარული წესების და ნორმების შეუსრულებლობა;

- ყველა სახის ტრანსპორტით ცხოველების, მეცხოველეობის პროდუქტების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის, ფურაჟის, ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე საერთაშორისო და შიდა (საექსპორტო, საიმპორტო, სატრანზიტო) ტვირთების გადაზიდვის დროს ვეტერინარული წესების დაუცველობა;

- ვეტერინარული შემოწმების, ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზის და ვეტერინარული კონტროლის დამლის გარეშე პროდუქტების გადატანა-გაყიდვა;

- ზოოპიგიური და ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნების დაუცველობა, რომელიც დაკავშირებულია მეცხოველეობის ობიექტების დაპროექტებასთან მშენებლობასთან, ექსპლუატაციასთან, რეკონსტრუქციასთან, ცხოველების შენახვასთან, მოვლა-პატრონობასა და მეცხოველეობის პროდუქტების შენახვასთან რეალიზაცია-გამოყენებასთან; - საქართველოს სახელმწიფო საზღვრების გასაშვებ პუნქტებში ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნების უგულვებელყოფა;

- ტყავ-ნედლეულის, ქურქ-ბეწვეულის და ცხოველური წარმოშობის სხვა ნედლეულის გადამუშავება - გამოყენების დროს ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნების დაუცველობა;

- პროდუქტების გამოშვება, რომელიც არ შეესაბამება ვეტერინარულ-სანიტარული და ეკოლოგიურ მოთხოვნებს;

- აღნიშნული დარღვევები იწვევს თანამდებობის პირების, მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირთა დაჯარიმებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

- სამართალდარღვევების საქმეების განიხილავს ვეტერინარიის სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები.

მუხლი 39. ვეტერინარიის სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა და
ადმინისტრაციული სახდელის დადება

ვეტერინარიის სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვასა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვთ:

- საქართველოს სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურის ხელმძღვანელს და მის მოადგილეებს - შრომის ანაზღაურების ორ მინიმალურ ოდენობამდე;

- აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების თბილისის, ბათუმის, სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს - შრომის ანაზღაურების 1.5 მინიმალურ ოდენობამდე;

- ქალაქების, რაიონების სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურების, აგრეთვე სახელმწიფო ვეტერინარიის ქსელის დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს - შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

- ქალაქების, რაიონების სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურების, აგრეთვე სახელმწიფო ვეტერინარიის ქსელის დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს - შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

ვეტერინარიის სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების თანამდებობის პირებს შეუძლიათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ჯარიმა გადახდევინონ:

1. ბაზრებში და ბაზრობებზე - ცხოველებით (მათ შორის ფრინველით და თევზით), ცხოველური წარმოშობის პროდუქტებითა და ნედლეულით, სხვა საკვები პროდუქტებით ვაჭრობის ვეტერინარულ-სანიტარული წესის დარღვევისათვის

2. რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე, გზატკეცილებსა და გრუნტის გზებზე, საქონლის გადარეკვის ტრასებზე - ცხოველთა (მათ შორის ფრინველის, თევზისა და ფუტკრის/ გადაყვანა-გადარეკვის, ცხოველური წარმოშობისა და ნედლეულის გადატანის ვეტერინარულ-სანიტარული წესების დარღვევისათვის;

3. სახელმწიფო საზღვარზე უცხოეთის სახელმწიფოებიდან ცხოველთა /მათ შორის ფრინველის, თევზისა და ფუტკრის/ გადამდები დაავადებების შემოტანისაგან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის დაცვის ვეტერინარულ-სანიტარული წესების დარღვევისათვის.

კ ა რ ი IX. საქართველოს ვეტერინარიის სახელმწიფო ინსპექციის საბჭოსა და კომისიების ფუნქციონირება

მუხლი 40. ვეტერინარიის საქმეთა საბჭოს,

ბილოგიურ-ფარმაკოლოგიური და ეპიზოოტიის

საწინააღმდეგო კომისიების შესახებ

-საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ვეტერინარიის დარგში უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად ქმნის მუდმივმოქმედ ვეტერინარიის საქმეთა საბჭოს;

-ვეტერინარიის საქმეთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ხელმძღვანელები, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარეები უფროსები, რესპუბლიკური სახელმწიფო ვეტერინარიის ცენტრალური სამსახურების, უწყებების, დაწესებულებების ხელმძღვანელები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ვეტერინარიის ფაკულტეტების წამყვანი მეცნიერ-მუშაკები, სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, საუწყებო ვეტერინარიის სამსახურის გამოცდილი სპეციალისტები, საქართველოს ვეტერინარიის ექიმთა ასოციაციის წარმომადგენლები. აღნიშნული საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილი იქნეს სხვა დაინტერესებული სამინისტროების წარმომადგენლებიც.

-ვეტერინარიის საქმეთა საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსი, მისი არყოფნის შემთხვევაში-ერთ-ერთი მოადგილე;

-ვეტერინარიის საქმეთა საბჭოს დებულებას ამტკიცებს საბჭოს სესია;

-საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტთან იქმნება ბიოლოგიურ-ფარმაკოლოგიური კომისია, რომელიც ახორციელებს ვეტერინარიის მიზნებისათვის გამოსაყენებელი ბიოლოგიური და ფარმაკოლოგიური, სამკურნალო-პრეფილაქტიკური საშუალებების ეფექტიანობის ექსპერტულ შეფასებას, ატარებს მათ სახელმწიფო სარეგისტრაციო წიგნები და გასაცემ სათანადო მოწმობებს;

-ბიოლოგიურ-ფარმაკოლოგიური კომისიის დებულებას ამტკიცებს საქართველოს ვეტერინარული მნდიცინის საქმეთა საბჭოს სესია;

-საქართველოს ტერიტორიაზე მთლიანად ან ცალკეულ რეგიონებში ცხოველების საშიში ინფექციური დაავადებების ან მასობრივი მოწამელის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და სალიკვიდაციო ღონისძიებების ოპერატიული ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის მიზნით საქართველოს მინისტრთა კაბინეტი ეპიზოოტიის საწინააღმდეგო სვანგებო მუდმივმოქმედ კომისიას;

-ეპიზოოტიის საწინააღმდეგო საგანგებო მუდმივმოქმედი კომისიები აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რაიონებში და ქალაქებში;

-ეპიზოოტიის საწინააღმდეგო მუდმივმოქმედი საგანგებო კომისიების შექმნისა და მათი ფუნქციონირების თაობაზე დადგენილებას იღებს შესაბამისად საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რაიონების გამგეობები, ქალაქების მერიები.

კარი X. ვეტერინარიის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებები

მუხლი 41. ვეტერინარიის სფეროში

საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ

თუ ვეტერინარიისა და მეცხოველეობის საკითხებზე, ასევე ცხოველების, მეცხოველეობის პროდუქტების, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის, ცხოველთა საკვების, ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე სხვა ტვირთის იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება ამ კანონისაგან და ვეტერინარიის კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაძე

თბილისი

1995 წლის 14 ივნისი.

N 757-II ს